

1872 W

# „ციხის“ რედაქციისათვის

16.

ვინცა კითხულობს ჩუქნს „ციხისათვის“ იმ წლით-  
გან, რა წლითგანაც დავიწვეთ გამოცემა, იმას კარგათ  
მოეხსენება, რომ მიმავალს 1873 წელიწადს ეს ჟურ-  
ნალი გადადგება მეხვიდმეტეს წელიწადში, რაც  
საკუთრივ ჩუქნს კვლავ მძღვანელობით გამოდის; ამას-  
თანავე ესეც მოეხსენება, თუ რა ღირსებითაც გამოი-  
ცემა, ან რა შრომაც ეჭირება. მართალია, ბევრი ნაკ-  
ლულეფანება ჭქონია, მაგრამ ესეც მართალია, რომ ამ  
ნაკლულეფანების მისესი ეოფილა ღონის-ძიება, რად-  
განც იმდენი კვლის მომწერნი არა ჭეოლია, რომ შეს-  
ძლებიერ ღირსეულად გამოცემა. კიდევაც ჩუქნს მეცა-  
დინეობას ჭ ამასთანავე სასოებას არა ვეარგავთ ჭ ვეც-  
დებით მომავალს 1873 წელიწადს გამოვცეთ ბევრით  
უკეთესად, ახლა ამისმეტს ვეღარას ვიტყვით, — ჩუქნის  
მეხვიდმეტის წლის შრომის ჰატოვის-საცემად; —  
ჰატოვის-საცემად იმ მამა-ჰაჰეულის ენისა ჭ იმ მწიგნო-  
ბრობისა, რა წმინდა ქართულის ენითაც იბეჭდება ეს

ჟურნალი, — იმედი გვაქვს კელს მოგვიწერენ ქართული  
ენის მიმდევნი ზირნი, ამითი გაგვამსწეებენ, რომ უკეთ  
ვიზრუნოთ სამშობლო ენისათვის, არ დავდიოთ არა  
ვითარსა სიშურესა ზე შეცილებასა.

ფასი საკუთრივ „ცისკრისა“ არის რვა მანეთი  
გაგზავნით. ვისაცა სურდეს ამ ჟურნალის დაბარება,  
ვთხოვთ ამ ადრესით დაიბარონ ზე სვედრი ფასიც გამო-  
გზავნონ:

„ცისკრის“ რედაქტორს ივანე კერესელიძეს.

Редактору грузинскаго журнала „Заря“  
Ивану Кереселидзе. —

რედაქტორი ზე გამოცემელი ი. კერესელიძე.

ტფილისს.

1872 წელსა. ოქტომბრის 30-სა.

---

## ანდერძი

---

ქ. სატირალი ღ სალოელი ამბავი ახლა შემიღებ-  
ბის. ქრისტეს შობის. (კდ) კვირას დღეს ჩემი შვილი იოანე  
აიქარა, სიონში ჩავიდა, გავეშორდა სიღარიბისა ღ ბე-  
ვრის ვალისათვის: ვალი არა გამიტანებიარა იმის-  
თვის ღ ორშაბათს დღეს ოსე დამეკარგა, ვეძებ ღ  
ვეღარ მიპოვია. ამბობენ მისირს წავიდაო. თუ ვინმე  
ვებრალები გასინჯეთ რა ამბავია. ერთს დღეს ერთი  
შვილი მომშორდა, ოც ღ ათის წლისა რომლისაგა-  
ნაც დამარხვას მოველოდი ღ ცხოვნებასაცა: ღ მეორეს  
დღეს მეორე შვილი დამეკარგა ოცის წლისა რომლი-  
საგან ჩემს შენახვას მოველოდი, ჩემს მეუღლისას, წვრი-  
ლის შვილების დასჯას ღ ქალების დათხოვებას. დავალ,  
ვეძებ ღ ვტირი. ასეთს ცრემლს ჰვრის თვალი რომ  
ლოყები წვით დახეთქას მიპირებს, მოვალ, დავჯდები  
ღ ვტირი. წავეთრევი სასამართლოდ, იქ მსახურებას

ადვანსრულები, მოვალ ვეძებ ვეძებ, რომ ვერან გავიგებ  
 ჭ დავიწიებ ტირილსა.

კათუნდა ქრისტეს შობის (ღ) შაბათი დღე. ჭ და-  
 თუა ჭ ბაბაღე სასადიო გაცხელება, ორიოდ დღეს  
 უვაგილი გვეკონა. რომ არ იქნა ჭ გამოფეცალებით,  
 ძირის სასაღი ჩავედით. არა გვაქვს სხვადა სახლი,  
 არა გვევს მსახური მათია-შვილის ძეგლი, აღარა გვაქვს  
 მოახლე: სასა თინიას მივანბრეთ ქორ. ეძს. ტეტია  
 ამბროსის-შვილმა არ გავიშვა გვემსახურებოდა. მორ-  
 ჩნენ ვისწყვილები ამოვედით, ოსეს მწუხარებით კათავე-  
 ბუონი ვართ. დავალ ვეძებ რომ ვერან გავიგებ მოვალ  
 ჭ ფტირი. მუღია ცოლშვილით ჩამოვიდა თვითან სა-  
 ვადით ავადმყოფ შვილებს უვაგილი ესხა. რა მექნა.  
 სად გამეგდო, ვინ შეუშვებდა, ეს უფრო საწუხარსი საჯი-  
 ნობში დავაყენე ძეგინასე შვიდი სული იყო მორჩნენ  
 ჭ გავისტუმრე. იანურის ის ვაწერ; ინება ეოკლად  
 ძლიერმან დიხრთმან, თავისის ძეარ უკსენებელისა ჭ  
 სასაყრის მოწყალებითა, მოვრჩით ამ განსაცდელებს.  
 ჭ ეოკლად წიდაძე დვთის მშობელმა მომხედა. ჩემი  
 ვედრება შეინძინა. ოსეს ამბავი მომივიდა ახალციხეს  
 არისთა ჭ ჩამოიყვანეს იანურის: (ღ) ქ ეძს ოთხმე-  
 ბათს დღეს:

ჩავაცვი, დავსურე, გამონაბრუნს ტვეესა გვანდა, იყო  
 მადგამ უნად ჭ თავსდად ვიჯექ სასამართლოში ჭ

ვისამართლობდი მსაჯულად ზე მდიუნად. სახლდგომოდ  
 ეოველს სულის ტანისამოსები დაუკერვინე: ოსე კარვად  
 მოყრთჳ, დარაის კაბით, ღიბის სარტყლით, კიდევ სხვა-  
 ნიცა: ქწაველ წავეყანე ბორბალას მურბადა-შვილები  
 ვარსიმა-შვილები ეოვლად წმიდის მინდობით. ქორო.  
 ეფხ. მარტს (იე) ღმთის მშობელს მარიაჲს მიუბარე  
 ზე ვკარ ფეხი ზირველ მე, ჯერ მუღიას სხელი ეფ-  
 ჭერ, მერე დანიელა მურბადას-შვილისა, მეღიას მივეც  
 კარგი მადიანი ზური ზე ფეტვი ზე თეთრი სახლამდის  
 გამოსაყვები. ექესის თვისა ბ) ირემას-შვილს მივეც  
 ვარი, ხოხა, ქუდი თავისი ორის ღღისა მოუხანი, დაუ-  
 თესე ვ) მეოსე გამიუარმივდა. მიჩივლა. ეავისარჯე თე-  
 თონი დავსარჯე ზე ვიშოვე ცხრა უღელი ვარი, ერთი  
 ესენი დამისიცა, დამიფუჳს. მაგრა რაღა უყო.

დ) დანელა დავაყენე.

ე) თათულა დავაყენე.

ვ) თეფდორე ზე მამუკა დავაყენე.

მიუბარე ღმთის მშობელს ზე წ-მოველ, ინებოს მისმა  
 ძლიერმა მადლმა იმ სოფლის აღმენება.

ქ. წაველ დიდომს დათუა ერთნთჳე გამატანა სალო-  
 სუცესმა დავით. დიდი ჭირი ვნახე. სუთჯერ მოველ.  
 აჯანყდა სოფელი არ მამლეუდენ. გამოარჩიეთ ბუითაღ-  
 მალი მიწები თუთო თუთოდ ნამნეულად სწერია. მამა-  
 ბარეს ზე წამოველ აწრიღს. (იბ).

მსახურად ვ ჯდო და ვსამართლობდი. მისს (კ) იორბამ თავის ქალის ქორწილი მოინდომა. ორი თუ-  
 მანი ვალი ავიღე. მე დავაქორწილე. მე ბატონმა ას-  
 ცალას გამისტუმრა ბერძნების გასარეკად და დასატუქ-  
 სავად: მე იქ წაველ, ხარჯი დაუკავე აქ ჩემს სახლ-  
 ში. დაქორწილა დედა-თქვენმა და აქედამ გაისტუმრა.  
 მოველ ასტლიდამ და ვარ მადლობელი დუთისა. ივ-  
 ნისს. (ე) ქ ივნისს (კდ) ვაწერ ოსესავან დიდად შეწუ-  
 სებული და სასასავანაც: თამასა გამრეკელი ვიყიდე.  
 ვალი ემართა ვადუსადე. ბატონ-ემობის წიგნი ღმრცა.  
 ბორბაღას ვავისტურე. ოსე ვერ დავიმორწილე გამე-  
 ტანებინა, თამასამ ვსა არ იცოდნ. ცოლშვილით ვა-  
 ვსავნე ევების დავრჩესთ და გამოვადგესთ: სასა ვერ  
 დავიმოწილე. გიორგის უთხარ: თოფი და იარაღი ო-  
 მოირტვი, მენ მიივანე მეტქი, იმანაც ტირილი დაი-  
 წყო. დიდად გული მეტკინა, მერმე წაწაწა დათუა ვავა-  
 ტანე თერთმეტის წლისა. აივანა, დაავენა ზური სას-  
 დო ვაურივე და უნდა ავიღე მეც და ვსა მივცე. ამ თა-  
 მასას დათუას ვინ წაართმევს ჭეშმარიტად სირცხვილია  
 რომ ძმებმა საკუთრად არ დანებონ. ქორო. ეღს: აგვი-  
 სტოს. (კთ) წაბმანდა ბატონი ერკვანსე, მეორეს დღეს  
 სოღანლულს ვიასელ. ოსე თან წავივანე მარნეულს  
 ჩაბმანდა (ლბ) შაბათს დღეს მთვარის (ა) ოსე ვასელ  
 დიდის ვედრებით, მრავლის მოციქულის შუამავლობით,

იასლა, კელჯოსიანობა უბოძა. მე კელი ვერ მოვიძაროთ  
 & წამოველ სეკდენბერს (ე): მთვარის (ე) ოთხშაბათს  
 სასა დედოფალს ვახსელ დიდის ვედრებით & არ ვიცი  
 ღმერთი რას წყალობას მიხამს.

ქ ჰაწაწა დათუა ჩემს ნათლულს იულონ ბატონის  
 შვილის მეუღლეს მივართვი ჰაწაწა უულუღია & ემსა-  
 ხურება ქორო. ემს მკათათვეს: (კ) სულიძე ჰაატას  
 კაცი მოგსაენა იმერეთიღამ კარდმოსული ვარო, აქ ქა-  
 ლაქში ვარ დიდი ხანიაო. ვალი დამატედა & არც  
 სარჩო მაქვსო. ეს ვალი კარდმინადე, წლის სარჩო  
 მომეც & წიგნს მოგცემ შენი ემა ვიქნებო. წავიდა  
 იოსებ მღჳდელს ამბროსის შვილს წიგნი დაწერინა.  
 თავლდარს ოჭანესას & კაბრიელ ოქრომჭედელს დაბე-  
 ჭედინა, მომცა, თეთრი მივეც სულადათ დღეში სიძანს  
 ულუფად. თეთრი გაუჩინე თუთან ჩემს სუფრასედ ვამ-  
 უოფე, & ასე მოხდა. მკათათვის (ეს) წლამდის ასე  
 ვამუოფე.

ქ. ღმერთს ვიმოწმებ სარკებლით ავიღე სტეფანე-  
 საგან & ისე მივეც თეთრი & სულადი ასეთი მოსა-  
 ვალი მომიცდა რომ დაად ბეგრს მოველოდი. მოსა-  
 ვალსაც & ღალასაც: ნახნავი ქონასედ მქონდა დასეტ-  
 ევა, ოთხ კოდ ნახევარი ჰური მომივიდა. ოცი კოდი  
 შინდისიღამ მერკო. ოცი კოდი ტავნაკეთიღამ, ორის  
 თვის სულადი იყო სულ ვალით & ჩემის ცოდვილო-

ბათ ვისწოდებოდით. ჩვენცა ზე ამ კაცებსაც ვსწოდდი. ამისთვის რომ ეგების თქვენ გამოკადგესთ თორემ მე სანამ ცოცხალი ვიქნები ესენი ამდენს ვერ მოიქონებენ თუთან ევით, მე რას მომიცემენ, ნუტავი არ მართ-მეგდენ. ოსეს წიგნი არ მომივიდა ამ თვეებში ზე ვმად-ლობ ღმერთსა ღვინობისთვის (კბ) მტერი ერეგნის ცისეს მოადგა. რისაც იმედი არავის ჰქონდა ზე საკვირველიც იყო იმისგან მეუის ერეკლეს გამაგრება. ჯარიც ჰყო-ლოდა ცისეში ზე ცისეც დიდად გაემაგრებინა. სამი ათასი კაცი სადმე გამოვიდის მეომარი: გივი მოკლეს ჩოლოყაშვილი დასაფრებულმა ლეკმა, თორმეტობდ ლეკიც ეშოვნა ზე ასროლინებდა ერთს დღეს შეიდასი ცსენიანი. ზე ორი ათასამდის ქვეითი საომრად გამოე-გზავნა. ბატონს ჯარი დაუანტული ჰყოლოდა. აეტესათ სწოლა. ჯერ გიორგი ბატონის შვილი ვაკვსავნა მერე ლეონ, რომ დიდად ვასჭირებოდათ თუთანაც მიშველე-ბოდა, ვაიმარჯვეს, მარა, ერეკლეს მახაბელი მოუკლეს. გიორგობის. (ი) ბატონი ტვილისს შემობმანდა.

ჰემმარიტად მეცნიერთაგან დასაწუნებელი სნე არის, რას ვაქნევ, ამ ამბავსა. ვარ მწუსარებაში. ემა ზე მამუ-ლი წართმეული ზე სახელოებისა ზე სასახლეებისაგან ცარიელი, აბაშიძისაგან სასახლე ერთხელ ვიუიდე. მეორეხედ ოქმით ვიშოვე, მესამესედ სამართლით ვიშოვე ზე კიდევ წამერთო, მოქალაქის სასლი წამერთვა. მდიუ-



ნობა, დურნუკი, დიღმის ხარადრობა, შინა ემობა ზ ვარ  
 ცარიელი, მაგრამ ღუთის მოწუალებით გულიც მაგრამ  
 მაქვს, საქმეც ხელთ მიჭირავს, მტერსაც ვახუნს ვაძლევე  
 ზ მოუვარესაც. კაცობის ნაკლებობა არავის უნახავს.  
 ჩივილი სიქადულს ერევა ზ სიქადული მოხსენებულს  
 ჭირს. რად მინდა სიქადული, მარა გასწავლი: კაცი  
 ლხინსა ზ ჭირს მამაცურად უნდა მიუკდეს. თუ ჭირს  
 შეუდრკა კაცი ეს ხომ კაცობა არ, არის ასეთს ჭირებში  
 შეველ რომ გამოუთქმელსა. ზ თუ გული ზ თავი და-  
 მენებებინა, მეც გაუთავდებოდრი ზ თქვენ რაღა იქნებო-  
 დით. მაგრამ კაცურად უნდა ვეველს მოთმენა ზ ამის  
 მეტს არას ვიტყვი გაჭირების დღეს ომსა ზ ბრძოლა-  
 შიაც ასე უნდა მჭარებოდა.

ვიუავ ტფილისს, ვსამართლობდი. ზოგი მდივან-  
 ბეგს მეძახდა, ზოგი მსაჯულს, ზოგი მდივანს, სამსავ  
 ვითვისებდი ზ განიკებოდა ჩემგან ეოველი სამართალი  
 ქართლს ზ კახეთს დაუბრკოლებელად ზ შეწენარებული  
 იყო ეოველთაგან.

ამ ქაძებში ვევედრებოდრი დედოფალს დარეჯანს  
 ჩემის დაკარგულის მამულისა ზ სახელების ბოძებას:  
 თებერვალს (ივ) ვწერ. ეფს. განა არ იცით ეველას ხარ-  
 ჯი აქვს ამ სამთარ ზურის ეიდვამ საქმე გამიჭირა.  
 მოსავალი სრულებით არ მომივიდა შინდური ღალა  
 მერგო: ოცი კოღი ტავნაკური. ოცი კოღი დიღმური

დღე & დღე უმეტეს ზატეში მივალ & შესმის ბატონისაგან ჩემის დაკარგულის მამულის ბოძება & წყალობა, თავის ჰირითაც მიბძანა ყოველს შენს სათსოველს აღვისრულებო & ბატონის დედოფლისათვისაც ებძანა, ამ სოფელმა რა ასე იცის, მაგრამ ღმერთმან მოწყალებან მით ცნობითა ერთი გზითა ორი მისი მოწყალება დღესაცა მომცა ამა გზითა ოც & ცხრა ფურცელი ამას ზეით გარდმოძალეთ & სოფლის სიყურათს შეიტყობთ: მაშინ რა იყო ჩემთვის ეს სოფელი & ახლა რაში ვარ & კიდევ რას მოველი. დიდება ყოვლად ძლიერსა ღმერთსა, დიდება მისს ძლიერებასა დიდება მისს უსაზღვროს მოწყალებასა:

ამ ჟამს იასაულები გავეზავნე კახეთს ჩემის კაცების ასაურებად. თებერვალს. (კზ) ემზ: ქ. მაშინ დურნუკის შოვნასუ სომ ბევრი გავიდე & რაღა სალანჯარაკოა, აგრევ კიდევ მოქალაქის სახლსუ & ეველა წარწყმდა, წავიდა.

ახლა კიდევ, მარტს (ზ) ქართ. უმს ორი ცხრა ფურცელი მივართვი ბატონს, კარვის კოლოფით & შევეხვე ჩემის დაკარგულის მამულის ბოძებას, & აღმითქვა & წყალობა მიბძანა, არ იტყვდა, მაგრამ შევეხვე. თუ დამიტყვრ იმედი შექნება & თუ არა, არა შეთქი & დამიტყვრ:

ქ. გამივიდა რამდენამე დღე & მარტს (კე) კიდევ.

ასტყეს სოფელმა მწუხარება. აღდადნას-შვილმა შემა-  
ბესლა, სამართალში დავტუქსე, დამემუქარა, ზე შოახსენა:  
იესემ ენდრონიკას წიგნი მოსწერაო. ამ უღთომ რაც  
კაცნი იუვენ ამოავდო ეველს წასდინაო ზე მეცაო, ზე  
წამოვალ ოც ზე ათის ორმოცის კაცითაო, არ დავჯე-  
რებინა, მაგრამ გულს სომ ისე სჭირს ეწეინება, ეს  
წებლობა დამიბრუნდა, შევიტყვე მოვასსენე მერე ეუთვი-  
მი წინამძღვარი მზე ჭაბუკ მღვანბუგის კაცის ხელთ  
ეს წიგნები, მოვწიე: ღმერთი რას იბეებს არ ვიცი.  
ქ შარძან რომ, რუსეთი, შემოვიზირე, ივანე ჰატარა დიდ-  
მიდამ, სტეფანე თიანეთიდამ ნიკოლა ჯინჯილხანიდამ,  
დიდი ივანე სასტიკის საზურობილიდამ, მძიერ შიშვე-  
ველი, სასიკვდილოდ მიცემული გამოვიუვანე. ჯერ ეს  
მიყო ოსე გამიქცია, ახლა ოთხნივ ერთად გაიქცენ  
ზე თოფხანაში შევიდნენ მიბობა მარა გემო არა ჭქონ-  
და იმათს ხლებას ზე არიან თოფხანაში ამ დროს  
ჩემა მეთსე არუთინამაც კიდევ მილალატა, აიუარა ჩე-  
მათ დურნუკს გაიზარა, მრავლის ცდით დიდის სას-  
ჯლით ვიშოვე ისევ ზე გამოვიუვანე, ქარო. შობის (ლა)  
უღთ ია.

ქორუა ხორბალამე ციცის შვილებისაგან ვიშოვე  
იქ შევანდა, აიუარა, ჩამოვიდა, უკუმიდვა, ვიშოვე ისევ ზე  
ვრემე.

ქ. ჰატარა კიდევ გასუიანდა. ილაჯი აღარა მსქეს ამისგან

ქ მარიამა თეთრი მიუეც ამ ცალქალამანიძეს  
 კელი ზილო უო თებერვალს ა. ქორო. უღო წაველ  
 ჯიმიოს კათალიკოსის წიგნი წავიდე: დოში, სიხილა-  
 ღა, ღვინო მრავალი, ტყვია რვა ლიტრა. დაუნატიჯე  
 ჯიმიოთლო, ღორი მახუქებს, იქიღამ საამის  
 შიილი სეღია გავასს გავგზავნე ჩემის ცხენებით თამა-  
 სასა ზ ქი ჩესას შვილების ასაურულად. დაეჭირათ, კელთ  
 მოეცათ ზაატას ემტუნა მეორეს დღეს გაენარებინა,  
 მოვიდა ცუდი კაცი ჯიმიოს, კიდევ იქიღამ აზრიამა  
 გავგზავნე სხვა ცხენით, ბიჭი ველარ ჩავედო, ოთხი  
 ძროსა წაერთმ, ა მოიუვანა, ერთი აზრიამას ვახუქე,  
 თამასაც წამოეუვანა ჯიმიოს აღარ დავსუდი წამოველ  
 დიდი ბუქი ზ ქარი ამიტუდა იმდღეს თვალზე მეორეს  
 დღეს ბუქისაგან ძლივ საშმსე აღების დამე იყო (ჟ)  
 თებერვალს საშმიღამ ძლივ მარტყოფს, მარტყოფიღამ  
 ქალაქს.

ოსეს წიგნები მომივიდა საწუსარი ზ სატირალი  
 თებერვალს: იხ: ჩემი დღე დამამწარა საწუალობელმა,  
 გამოვიდა სამი თვე, გიორგი ავად გამიხდა სახადით,  
 ძაღლა ჩარდასში დავაწვინეთ, ოჟლის დროს ჩამოვი-  
 და ემაწვილებს თამაშობა დაუწყო, ჩვენ ბაღში გავცვი-  
 ვდით, იქაც მოვიდა, ისიდორეს ბრმა ძიმა ბაღიღამ  
 გამოქცეულიყო, დედა თქვენი გამოჭეოლოდა ქალაქს  
 ისევ შერბიებოდა, ზ შინ შემოსულიყვნენ, მე კარსე

ვიუაუ, საღამოს ბაღში რომ გავუღ ადარავენ დამიხვდა, მუწუნა მარამ რაღას ვიქმორი მეც შემოველ ზ რომ შემოველ: მეცა სასაღო, მაისს კვ, მთვარის, კვ: სასა-საც, ელისაბედსაც ზ ბარბარესაც, დედა თქვენი გავუცა-ლა, მოწუალება იყო ღუთისა მოფრხით, მევი აღარ მინდოდა სიცოცხლე ჭემმარტად ამდენის მწუნარების-გან, თიბათვის ა. ოფლი მედინა (იბ) საუღარს გავა-წივე ივ, ბაღში გავლაგდით, კვ, ტაცნაკეთ წავედით, ოთხის თუმნის ღვინო ზ რეცინდარა წავიღეთ (კვ, ცხენი წამოქეცა დამამსხვრია: კათათვის (კვ) დედა თქვენი ავად გამხდარიყო ქალაქიდან მოვიდოდი: გიო-რგი ჩემის ცხენით მოვიდოდა მაშინვე მქნიშნა (კვ) მუცელი წაუხდა ზაწაწა ქალს ნათლის-ღება ეღირსა ანნას მიცვალების დღეს ზაწაწასაც ანნა უწოდეს სეკხედ მონათ-ლეს მოკუდა წმინდის გიორგის საუღარში დამარხეს, საწუა-ლი ისიდორე დაჭლურქდა აკვისტოს (იბ) ჩამოუდით ქა-ლაქს, მე აღარ წაველ ბატონთან, ით. მეფენი შერიგ-დნენ (კვ) ზ ამ დღეს თარხნის-შვილი სასა მოვიდა, ბატონი წამობანდა, ჩვენ იქ სასამართლოდ გავვიშვა, ჩამოველ სეკტენბერს (კვ) ისიდორე მომიკუდა, მათია-შვილი მომიკუდა, ვარსიმა-შვილი მამუკა დამკარგოდა, მურადა-შვილი დამკარგოდა ბერელა-შვილი მომიკუდარ-იყო, აველ ვახუნგვინე, ჩამოველ ივანე რუსის საქორ-წილო გავსავენე ახალმა მეფემ კიდევ ქურდობა ქმნა

ქაღალქი დუქანი გატყსა დაიჭირეს ჯინჯილს მისცეს დღეს ნოემბერს (ივ) ამ დღეებში ასე ავად ვიყავ, ჩემს შობის დღეს გიორგობის ი. წირვა ვერ მოვისმინე თებერვალს კვ ქარო. უოა.

ქ. არვიცი როგორ აღმიარებთ უჭკოდ, თუ, ცუდად ეოფილა ზ უწერილო, მე სიტყვას გიგებ თუ მოისმენ უჭკობა სწოა, მაგრამ უემომ ემა გიშოვე, განა თუ მუქთად დიდის ჭირით ჭეშმარიტად ოცი რომ ვიეიდე თუ ვიშოვე ათი გამეცვა ზ ათი დამრჩა ზ რაც ფასი მივეც ორი იმდენი იმათს შენახვასედ შესარჯება, უმა-მულომ მამული გიშოეთ ზ დღეს ადგილი გაქვსთ ერ-თას თავადისა.

თუ იტყვით ცუდათ ეოფილაო როგორ ცუდათ ეოფილვარ, დილით შუადღემდის სამართალში ვიჯდი, მერმე მცირედი სასრდელი მივიდი, ზ განაჩენებს ვწერ-დი, მწუხრამდე, ზ ასე გარჩენდით ჩასაცმელ დასასუ-რავს სასმელ საჭმელს ჩემგან ჰური არ გაისეიდებოდა თუნდ ათასი კოდი მომსლოდა, მოეფარეს, მტერს, ბატონს, უმას, ამით უძღვებოდი. როდის მეცალა ამაებისათვის მაკრამ მე ნაკლებად მახსენეთ ზ თქვენ ეგების რომელ-სამე შეკეწიოსთ ეს ჩემი წერა ზ დვაწლი იმისთვის ვწერ ოსეს ამავეი მესმის ზ დვთის უსიამოფნოა ზ ვს-ქდები სასა დიდად მაწუხებს, გიორგი მორჩილებით არის ამის იმედი მაქვს, თებერვალს. კა: სკიფრი გამიტყესა სასამ ზ ა თუმანი მან. მამტაცა. ჰერანგი ასალი ჯერ არ გაერეც-ხათ მამტაცა ზ წაიღო.

იღუპს, ღმერთს ამბობენ ღმერთსაც თოდუწს (ქაჯის  
სულიერად მსხვერპლად მსხვერპლს მსხვერპლს მანან  
ქაჯის მსხვერპლს)

საქართველოს მადრიდში დაბეჭდილია თანაგვარს

# ლექსი.

კნ. ეკატ. ერისთავის ლექსებითგან.

თეთრო, სწეტაკო, ლამაზო, საქებო, სომასუდ  
 მეტო  
 მადლობას გიძღვნი ლექსისთჳს, ჩემო ზატარა ზო-  
 ეტო;  
 ჯერ ამისმეტი არა სჯობს, მოკწერო, ან ვსთქვა  
 ენითა,  
 რაკვარის ნიჭით შობილხარ, ან რას ვიმედობ შე-  
 ნითა?  
 ვგონებ იშვითად ისილონ შენსავით მცირე წლო-  
 ვანი,  
 აგრე მკრძნობელი, მოაზრე, ვით გამოცდილი მს-  
 ცოვანი;  
 მხოლოდ გიწუნებ მეტს ქებას, რაც მე არ მომე-  
 წერება,  
 სხვასაც მაშინვე დაუშლი, ვინც აგრე მომეფერება.  
 თუ რომ ცსურს მასიამოვნო ღ იუო შენცა ქებული,





# უკრაინის დიპლომატები

(შემდეგი)

მინამ ზაზინკა თორმეტის წლისა შეიქნებოდა, გარ-  
შემო შემოსეულნი ჭეუანდნენ იმისთანა მოსამსახურენი,  
რომელნიცა შეაქცევდნენ იმის სუსტს გონებასა ზღაპ-  
რებით და სსუა და სსუა ცრუ რაღაც-რაღაცებით; ის  
დადიოდა ზერანგით სადაც მოხვდებოდა და თუძცა მესო-  
ბლის ქალები აუგოდრიდნენ იმის დედას ფენა სტეფანო-  
ვნას, არ ეტარებინა ასე და ჩაეცმივა რიგიანად, ის უპა-  
სუსებდა, მე ჩემს სამშობლოსას სულ აგრე დავრბოდი  
თხუთმეტ წლამდინაო. დაესსენ იკემოს, დატკბეს და  
ისაროს მინამ დელ-მამანი ჭეუანანო; მაგრამ თუძცა  
ასე ამბობდა, მანც დროებას უნდა დამორილებიყო  
და შვილისათჳს მიეცა რამ სწაულის გზა.

სადაც ესენი სცსოვრებდნენ, იმათ მსრისაკენ ზირ-  
ველი მებატონე იყო ოსეუ ჰროკოფიჩი ოპეცკოვსკი,  
ისე სიმდიდრით და შეძლებით არა, როგორც შესედუ-  
ლობით, რადგანც დიდის ტანისა იყო და დარბაისლუ-  
რის შესედულობის; ამას გარდა ჩაეცმულობაც დარბაი-  
სლური ჭქონდა და ლაზარაკიცა, ისე არას იტეოდა, არ  
დაეტანებინა მოდნის სიტყვები: „უნდა ვიქონიოთ მხედ-  
ველობაში; რა მივაქცევს უურადლებასა, აღმოჩნდება  
რომ . . . მალმალე ჩადიოდა ქალაქში, სადაცა რაც  
ასალს მოდურს სიტყვას გაიგონებდა, ზეპირად დაისწა-  
ვლიდა, მოვიდოდა და მებატონეებში იმ ძალაღის ფრა-  
სებით ილაზარაკებდა: აი იმისი ნამდვილი სიტყვები:“

შევიქმენ რა ნახვის ღირსი, მისის აღმატებულების  
 სამოქალაქო გუბერნატორის ბ კავალერისა (ბუ სახელს,  
 მამისას ბ მრთელს ტიტულს დაატანდა) როგორც იმის  
 სახის მეტყველებითგან აღმოჩნდა, სურდა მივეპატივნე  
 სადილათ, მაგრამ მიიღო რა მხედველობაში, ჩემნი  
 მრავალ გვარნი სსუ ბ სსუა საქმენი სამსახურისა გა-  
 მო, ეს პატივისცემა გადასდევს სსუა დრომდინ; მაგრამ  
 ცეტვეთ გულახდით, რამდენიმე საუბარის შემდგომ მის  
 აღმატებულება უფალ გუბერნატორთან, მე შევიტყე დი-  
 დი ბ ჰირველი ახალი ამბავი . . . ვწუხვარ, რომ იმ  
 საიდუმლოების თქმა არ შემომღიან, ამ მიზეზისა გა-  
 მო, რომ მის აღმატებულებამ ეს საიდუმლოება მომან-  
 დო მე . . . იმ საიდუმლოების საძირკველი არის ის  
 რომ განჭკვირდებით, მის აღმატებულების უფლის  
 გუბერნატორის მხედველობაში მიღებას . . . მაგრამ მე არ  
 გამოვიტყდეთ. “ასე ბ ამ გამოცანებით ლაპარაკობდა  
 ოსეო ჰროკოფოვისი. როდესაც იქაური მეტონები  
 ახალს რასამე გუბერნატორის განკარგულებას შეიტკობ-  
 დნენ ბ ლაპარაკი შეიქნებოდა, მაშინ თუ ოსეო ჰროკო-  
 ფისი თუ იმათში ვრივა, იტყოდა ბაქიობით. მე ეს საქ-  
 მე ვიცოდი აღრვე: მათმან აღმატებულებამ, უპატივცე-  
 მულესმა გუბერნატორმა ინება ბ მე ჰირის-ჰირ გამო-  
 მიცხადა, როგორც საიდუმლო საქმე, როდესაც ვიუავი

ქალაქში; მე წინათვე გიწინასწარმეტყველეთ; ეგ დიპლომატია მე ძრეულ მესმის.“

ახა ამისთანა კაცისათვის როგორ არ ეცათ ჰატივი იქაურთ ახნაურებსა. უფრო ამისათვის რომ იმასა ჰონდრ საკუთარი კარგება ექვსის დიდროანის ფუნჯრებით, ნასყიდი რომენსკის იარმუკასუდ, ისეთი კარგება რომ ძრთელს გუბერნიაში იმისთანა არავისა ჰქონდა.

ამისა ცოლი იყო აგრაფინა სემენოვნა. ქალი იმისთანა მებატონისა, რომელიცა დიდს ჰატივსა სცემდა თავისის ნიჭის გამო უფალს ოპეცკოვსკის, რომელმაცა როდესაც ცოლათა სთხოვა იმის მშობლებს, იმათ მეტ ბედნიერებათ მიიღეს, დაეშურნენ ჯვარის წერას ზ უნდა გენასათ მკითხველო თუ როგორ იბერებოდნენ ამისი ნათესავნი ამის სიმობასუდ. იმისი გვარის წამოთქმა არავის არ შეეძლო, ისეთი სასული ჰქონდა იმას იმ მხარესუდ გაუარდნილი. აქედან რასაკვირველია ცხადათა სჩანს, რომ როგორც ქმარს ეჭირა მალლა თავი, ისე ცოლიც დაიჭურდა. ადრინდელ სიუმაწვილეში მცნობნი ქალები იმათ აღარაფრათ მიაჩნდა ზ დიდი საქმე იყო, თუ ვისმე ალერსიანათ თავს დაუკრავდა, ერთი მხოლოდ ფენა სტეფანოვნასა სწვალობდა, რადგანაც კეთილ დედაკაცად მიაჩნდა. ისინი სიუმაწვილითვე ერთად გახდილიყვნენ, ასე რომ ერთ-

მანერის მხოლოდ სახელს უწოდებდნენ ისეთი მეგობრობა ჰქონდათ.

ახსნა საკვირველია რომ ამ გვართ დიდუცებს, როგორნიც იყვნენ ოსიუ ზროკოფიჩი და აგრაფინა სემენოვნა, უნდა, თუ ჰქვებნდათ შვილები კარვით დაეზარდნათ. ვაჟის შვილები ამის მიხედვით მისცეს ჰანსონში, რომელნიცა გამართულნი იყვნენ გიმნაზიის უნიტლებისაგან გუბერნიის ქალაქში, და ქალისათვის კი დაიბარეს მოსკოვიდან მაღამა. როდესაც მაღამ ტორშონ მოვიდა ოპეცკოვსკის სახლში, ნახა რომ ამ გვართ სახლში, სადაცა გამოჩენითა ცხოვრობდნენ, შეიძლებოდა დროს გართობა. ის მაღამა შთამომავლობით რუსი იყო, ჯერ მუშაობდა კელსაქმით მოსკოვში ერთს ვიღაცა მოდის მაღასიაში, სადაცა ისწავლა ცოტა ფრანცუზული. როდესაც შეერთო ქმრად მისიო ტორშონი, მაშინ ხან ერთს სახლში დგებოდნენ ცოლქმარნი და ხან მეორეში, სადაცა ქმარი ხან გამერდინერი იყო, ხან გუვერნიორი, ხან მასწავლებელი და ბოლოს სადაცა ზატარა ქალაქში გახსნა ჰანსონი, ამ ტანტალში განულო თხუთმეტმა წელიწადმა და რაღა თქმა უნდა ამ უოჟაში ცოტაოდენს გამოცდილებას შეიძინებდა. ეს მაღამ ელენა ტორშონ, ბოლოს როდესაც დაქვრივდა, ოპეცკოვსკის დაუდგა ქალის გუვერნიანტკათა. ამ მაღამას დაჭერა ძირიელ ძვირად მიაჩნდა ოსიუ ზეტრო-

ფინს, რომელიცა ორთა იაფათ გადაწინილიყო, თავის ცოლს უჩივდა მოუწევია სოკიერთი მესობლებთ შებატონის ქალები სასწაულებლად, რომ იმათაც ფასი ეძლიათ. რასაკვირველია, მაშინ იმას ცოტა ხარჯი მოუვიდოდა.

ამ მოხერხებით ისეთი საქმე მოუვიდა ოპეცუოვსკის რე იმდენი ემაწვილები შეიყარნენ, რომ იმათ მადამაზედ მსოლოდ ზურის ჭამის ხარჯილა ჰქონდათ, სსჟა არაფერი, იმისათვის ჭამა რ სმა რა იყო, სადაცა უიმიროთაც შეიყრებოდნენ ხოლმე მრავალნი სტუმრები, რა არის შეეტეოთ ოპეცუოვსკისაგან, მისი ხელტეულება უფალი გუბერნატორი ამა რ ამ დღეს ვისთან უოფილიყო სადილათ, ან ფრაკით უოფილიყო თუ უბრალო სერთუკით, ან ვისთან ელაზარაკნა რ სსჟა

აგრაფინა სტეფანოვნამ როდესაც შეაერთა ეს ზანსიონის ქალები, როგორც თავისი მეგობრის ქალზედ, დიდი უურადლება მიაქცია ზანსინკაზედ, ფენა სტეფანოვნას ქალზედ. მერე როგორ უღირდა ამ ზანსინკას შემოუვანა ზანსიონში აგრაფინა სემენოვნას! ის სამი დღე შააკების სახლში იყო, ამ სამი დღის განმავლობაში სულ იმას ჩანჩინებდა რომ თავიანთი ქალი ზანსინკა, მიეცათ მადამ ტორშონისათვის, რომ იმასაც განათლება მიეღო, შენ არ მომიკვდე! იმათ თავში ვერაფერი შედიოდა; ისინი სულ ამას უზახუხებდნენ: თავის დღეში

ეგ არ შეიძლებაო! ერთი მილლიონი რომ მომცენ არ იქნებაო; თუნდა ახლავე მომკალით, არასვსით არ შემიძლიანო! არა, არა ზე არაო! ან რათ უნდა სწავლა? ხუთასი სული ემა ზე მამული მსითუათა აქჲს. ამისთანა შეძლების ზატრონი, ვინ გაიგონა მრთელი დღე წიგნს უჯდეს ზე ემასავით შეჭყურებდესო, ან რა უნდა ასწავლოს? დჷთის წინააღმდეგობა? ემა ზე მამულის გაუიღვა, დანიავება, ძაღლების შენახვა, მარსვის ჭამა, ქმრის მოტყუება. ეს რაღა, სხვა ხომ არაფერი! თუ ხელთ საქმეს იტყვი, რა საჭირო არის ხელთ საქმე! ცოტა მოსამსახურენი ჭყვანან, განა ვერ შეუკერვენ. მამ რიღის ქაღბატონი იქნება თუ კი საქმესაც გააკეთებს, მაგისი ვალი ის არის, დაჯდეს მოკეცილი ზე შეექცეს ისე, რომ ბძანების მეტი არა უნდოდესრა.

ყენა სტეფანოვნამ ბევრი ამ გვარი ბრძნული სიტყუები უთხრა; რომ იმის ქაღისათვის სწავლა სრულებით საჭირო არ იყო; მაგრამ მაინც ზე მაინც მეტი გზა არ იყო, თავის ქმრის კირილე ზეტროვიჩის ბძანებას უნდა დამორჩილებულიყო. ქმარს წაეკითხა მოსკოვის ვედომოსტებში, რომ სწავლა კაცისათვის დიდი რამ არის, უფრო ახლანდელს დროში ქაღისათვის, წაიკითხა, გაბედა ზე უბძანა ცოლს დამორჩილებოდან დროების საჭიროებასა.

ახლა შეუდგნენ ზაზინკას მომხადებასა, თორმეტის

წლის ქალს, ზერანკის გარდა, რომელსაც ატარებდა, ჩააცვეს კასინკის კაბა, დაფარცხნეს თავი, მორთეს ზ რომ შეესდნა კაცს, ახლა სწორეთ ქალსა ჰგვანდა. რა კარგა ხანს იტირა ფენა სტეფანოვნამ, გააცილა ზანსიონამდინ ზ არიგებდა გზაზედ, ტანისამოსი მაგრა არ მოეჭირა, რაც უნდოდა ეჭამა, ესვა ზ სწავლაშიაც თავისთვის ძალა არ დაეტანებინა. როდესაც მიიფანეს, ოპეტკოვსკის სასლში, ის ჩააბარეს მადამ ტორშონს, რომელმაცა რა გასსნა ზანსიონი ჩამოაგდო წესიერება ასე, რომ ჯერ მოწაფეების წოდებას მიჰყო ხელი ზ სულ გადანათლა, სასლის ზატრონის ქალს ერქვა ეგენია, იმან გადანათლა ზ დაარქვა ეგენი; ჩუტნს ზანსინკას, დაარქვა ზოლინა ზ რადგანც ჩუტნ სსუტზზედ არას ვანბობთ, ამისათვის არც იმის სახელებს ვეძებთ.

ფენა სტეფანოვნა თავის ქალის მოშორების გამო დიდს მწუსარებაში იყო, მაგრამ ამითი ნუკეობდა კიდევ, რომ ეოველ შაფათობით თავის ზანსინკას უგზავნიდა ბიჭის ხელით ბულკებს, კრენდილებს, მურაბებს ზ ამისთანაებს. საწვალი ზანსიონელები, იმდენი ემაწვილები ძლივს იმდენსა სჭამდნენ, რასაც უგზავნიდნენ ზოლინასა! არ გაუვლია ნახევარს წელიწადს, რომ ფენა სტეფანოვნამ მოისურვა ქალის ნახვა, მაგრამ ცოლს ეს მიაჩნდა ძნელად თუ ვისთვის ჩაებარებინა თავისი ქმარი, რადგანაც საეჭვო სნეულების ზატრონი იყო.

წასულს ღამეს ხველება აუარდა, მერე ფერდის ქარი დაემართა, ახლა მინამ ცხენებს დასჭედდნენ, მერე მინამ კალიასკის თვლებს რკინებს გადაუჭირებდნენ, ამაობაში გაჭირდა მესაფრობის დაწევა; ბოლოს რის უოფით ზანბით შეუდგა გზასა, რომ ენახა თავის ზანბინკა.

ახლა რა გამოვიდა? ის ამ აზრით წავიდა, რომ ორი კვირა მანც დაჩინილიყო იქ სტუმრათა, დამტკბარყო თავისის ბაშვის უურებით, ზ, ენახოთ მესამეს დღეს, როდესაც კირილე ჰეტროვიჩის მობესრდა უცოლოთ მარტო უოფნა, ემსადებოდა თითონაც წასულიყო ცოლთან მეორეს დღეს, — კარს მოადგა ფენა სტეფანოვნა! ეს რა ანბაზია! ფიქრობდა კირილე ჰეტროვიჩი, რა არ იცოდა გაკვირვებისაგან რა ექნა. იმან რა გაადო კალიასკის კარები, მაშინვე კისერსედ მოეხვია სისარულით ფენა სტეფანოვნა.

„მადლობა ღმერთსა! . . . კარგათ დამხვდი, სიმრთელით! . . . მადლობა ღმერთსა, რომ უველანი კარგად დამისვდი . . . ნეტა უხემოთ როგორ ცსოვრობდი? ცოლის სიტყვები ჰირველადვე ეს იყო, რა არ ენახა ქმარი სამი დღე. ბოლოს ფენა სტეფანოვნამ დაუმატა სისარულით. „მოვიუვანე, მოვიუვანეო!“

— ვინ მოიუვანე სულიკოჯან?

„ზანბინკა, ჩუჭნი ზანბინკა, ძლივს გამოვვლიჯე ჯოჯოხეთიდან. ზ ამ დროს ჩუჭნი ზანბინკა, გაკოხ-



ტავებული, ლამაზათ თავ გადავარცხნილი, ვარდის ფერის ტუჩებით გადაეხვია სისხარულით თავის მამასა.

შემდეგ დიდის ალერსისა, სამნივე ფესით მივიდნენ შინ. კირილე ჰეტროვიჩი ცოლის ნახვით ისე სიამოვნებაში იყო, რომ თითონ დაუწყო იმ ღამეს ჩაის გაკეთება, მაგრამ რადგანც ჯერ ამის მეტად იმას თავის სიცოცხლეში ჩაი არ გაეკეთებინა, ამისათვის ბევრში შეცდომა მოუვიდა. თან ჩაის აკეთებდა, თან ქალსა ჰკოცნიდა, თან ცოლსა ზე მეტის სიამოვნებისაგან ორი სტაქანიც დაამსხვრია; არ იცოდა რა ექნა, ნაცვლად იმისა რომ შაქარი სტაქანში ჩაეყარა, ის ჩაინიკში ჰქრიდა; ნაცვლად იმისა რომ ჩაი ჩაინიკში ჩაეყარა, იმან მიიტანა ზე შიგ ადუღებულს სამოვარში ჩაყარა. ბევრს იცინოდნენ იმის ჩაის გაკეთებასედ, ბოლოს კირილე ჰეტროვიჩმა დაუწყო ცოლს კითხვა, თუ რამდენის დღით მოეყვანა ზაზინკა შინა ზე რამდენის ხნით დასთხოვნიდა მამასა; ბოლოს დაუმატა, თუ როდის უნდა წაეყვანა ზე ჩაებარებინა ზანსიონში.

„მინამ ისინი ზურს ნუ სჭამენ, მინამ ჩემს ზაზინკას იქ არ მივიყვან! მეხი კი დაეცათ იმათ თავს, კარგი სწავლა იმათ ჰქონიათ! დაიუვირო ფენა სტეფანონამა: ჩემს უკანასკნელს გოგოსაც არ მივცემ იქ რომ ასწავლონ. ერთი მამისმინეთ ჩემო გულის ვარდო, რა ანბავი ვნახე; როგორ შეიძლება კაცმა თავისი ერთად

ერთი ჭარუმაღათი შვილი მისცეს იმისთანა გარეუნილს ალაგსა? წარმოიდგინეთ რა ამბავია: ჩუქნი ჰაზინკა გადაენათლათ! ღმერთო შენ დამიფარე! ჰაზინკას სომ აღარ ემხდნენ, ჰოლინაო. გახსოვს სულიკოჯან, ერთ-სულ რომ ნახის იარმუკასედ რომ ვიუავით ღ აფიცრები ღაპარაკობდნენ ვიღაცა ჰოლინასედ? ვინ იყო ის ჰოლინა ნეტავი, ფუ! ეშმაკებმა წაიღონ იმისი თავი ეგ კიდევ არაფერი, ისე შეეშარტათ კაბაში საწეალი ჩემი ჰაზინკა რომ ველარა სუნთქავდა, ერთი შესედე ღვთის გულისათვის შენი ჰაზინკა ამ სიმაღლე იყო, სედამ როგორ დაუკუტლოებიან. როდის უნდა მოვიყვანოთ ახლა იმ მღვდომარეობაში, როგორმიაც იყო. ძელო ჭეშმარიტო შენ დამისხენ! რაც ხანი იქ არის, სულ სორცი უჭმევიათ, ღმერთი რა კარეს მოგვეცემს თქუქნი ჭირიმეთ. ბეგრის კითხვით სომ სულ დაუჭლექებიან. მერე რა უსწავლებიათ? იმ წეეულს მადამას, ერთი ღმერთის მაგეირად, ოცი ღმერთის სასელები უსწავლებია, მერე ის ღმერთებიც სულ ტიტველები არიან დასატულები ქაღალდებსედ! უმანკო ბაშეებს ერთი უეურე რაებს აჩვენებენ! ძალიან კარეს დარიგებას არ აძლევენ! საღამოხანსედ, თავიანთ ჭეუაში, ჩემთვის სვირი უნდა ეჩვენებინათ. რა იმისი ჯავრი მქონდა, მეტის მწუსარებისაგან, ჩემი ჰაზინკა რომ იმ მღვდომარეობაში ენასე, ღამის ჭეუთიგან შევიძალე, ერთი ძალე მოვა-

შორს აქაურობასა მეტი; საღამოზედ დამიძახეს, კამე-  
 დია გვაქუსო, წარმოიდგინეთ სულიყო, ჩუწნი კეთილ-  
 მობილი ქალები სულ კამედიაჩიკებათ გაესადნათ. მე-  
 ველი ოთახში, უეურებ, რასა ვსედავ! გასსოვს რომ  
 ნახის იარმუკაში, კამედიაში რომ ვიეაყით ჭ ზირსედ  
 მურ წასმულები თამაშობდნენ, იქაც ისე იყო,  
 ტანისამოსები დაეცვალათ, ზირებსედ რაღაცაები წაეს-  
 ვათ, რიგი რასა ებედობდა, რიგი რასა; მერე ამათი  
 თავი ვინ იყო? ის შესვენებული მადამა! ჩემი ზაზინკა  
 რომ ვნახე, კინაღამ გავვიჟდი. ამისათვის ჩაეცმიათ ვა-  
 ქურათ, ზირსედ წაესვათ თეთრი ფქვილი ჭ ანობდნენ  
 მეწისქვილე არისო; ჯვარო ზატოსანო შენ შემიწყაღე;  
 სოვს ბებრულად ჩაეცვა, სოვს მუქიკურად, სოვს ვინ-  
 იცის როგორ. ბოლოს რომ დავინახე, ჩემი ზაზინკა,  
 მეწისქვილე, ზირ ფქვილ მოთხუნული, მოჭევა ძალა-  
 ლის სმით რაღაცა სიმღერასა, აქ ვეღარ მოვითმინე,  
 ვტაცე კელი, გამოვათრიე, გავსადე მეწისქვილეს ტანი-  
 სამოსი, იმ ღამესვე უბძანე ჩემს კუხერს დილა ადრიან  
 შეება ცხენები ჭ რაც ღონე მქონდა, მეორეს დილას  
 ადრიან მოვარბენინებ ჩემს ზაზინკას. უკანაც აღარ მი-  
 მისედნია. მე მგონია იმათ ვეუღას ემინა ისე მოვი-  
 ტაცე. ფულიც კი არ მიმიცია მადამასათვის. დავღუპეთ  
 ჩუწნი ქალი სსასხელოთ თავის დაკვრა იცოდა, ისიც  
 კი დავიწყებია. თავის დაკვრა სომ აღარ იცის, თავის

დაკვრა რომ უნდოდეს, ჯერ უკან უნდა დაისიოს, მერე ფეხების ფრატაფრუტით, ორ მუსლზედ წაისრება. აბა, ჰაზინკაჯან, მადამას რომ თავის დაკვრა უსწავლებია, ერთი მამაშენს თავი ისე დაუკარი. აი, მესიკი დაეცა იმ მადამას თავს, ვაი ფულებო ტყუილათ დაკარგულო!

როდესაც ჰაზინკამ მამას კნიქი გაუკეთა, აქ მამას სიცილი წასქდა. შემდგომს დიდის ხნის სჯისა, გადაწვეიტეს რომ ჰაზინკას მადამურად თავი არავისთვის დაეკრა; დაესენი სსუამ რაც უნდა ქნას ზე შენ არავის ჭკუას არ აჭყვევ; როგორც დედა შენს, შენს დედის დედას ზე მამა-ჰაზათ თავები დაუკრავთ, შენც ისე უველას თავი დაუკარიო.

ვირთვე ჰეტროფიმა თავის ცოლს დიდად მადლობა უთხრა ზე სელები დაუკოცნა რომ ამისთანა ჯოჯოხეთის ადგილითგან გამოეხსნა ქალი. მეორეს დილითვე ჰაზინკა შეუდგა დედის ჩვეულებას, იმას დაუამსანაგდა შინაურს სახლოსნობაში ზე ორის წლის შემდეგ კარვად იცოდა, ან წნილი როგორ ჩაედო, ან არაუი როგორ შეესაგებინა, ან მურაბები როგორ ეკეთებინა ზე სსუა; ვინინას დედაზედ უკეთესად აკეთებდა ზე ამ შინაურს ანგარიშებში თითქმის დედას გადააჭარბა. ერთის სიტყვით, ეს იყო ფენა სტეფანოვნას კოპიო, მხოლოდ ლამაზად დაკასმული.

ჰაზინკა მოიხარდა ზე თავის მდგომარეობით კმა-

ყოფილს იყო, როდესაც დღიურს შინაურს საქმეს მორჩებოდა, საღამოხანობით თავისუფალს დროს იმ წიგნებს კითხულობდა, რომელიცა მოჭკონდა იქაურის სოფლის მღჷდლის ცოლსა. ბოლოს ჰაზინკამ გაიცნო, ერთი თავის მესობლის ქალი, რომელიცა აგროვე უკსავნიდა ზოგიერთ მაშინდელის დროს მოთხრობებსა. ჰაზინკა სულ ერთიან გადაიკითხავდა. ამ წიგნებითგან არ იყო რომ ჰაზინკამ გაიცნო ხალხი ზ ქვეყანა. ამა-ობაში ჰაზინკა შეიქნა შვიდმეტის წლისა.

ფენა სტეფანოვნამ, როგორც იციან გასათხოვარის ქალების დედებსა, გაავსო ჰაზინკას ზანდუკები, ზოგი სად ზ ზოგი სად ნასყიდ ნივთებით ზ ფარჩებით, რასაკვირველია მსითვისათვის. ქალი რომ სრულს ასაკში მიუვიდა, დედა ჩუმათ თვალეურს ადევნებდა, სასიძოებს. ვისაც კი ემაწვილს კაცს ნახავდა ახალად მოსულს, კარგადა სჩსრეკადა ზ ჭფიქრობდა როგორ კარგად დასვე-დროდა; ზოგჯერ რომ მოეწონებოდა სტუმარი ზ ნახავდა შესაფერი იყო, წაუხურჩულებდა თავის ქმარს: ზატვი ეცი სულიკოჯან, დაუევავე, ეკ ემაწვილი კაცი მე ძრიელ მოძწონს. რასაკვირველია როგორც გასათხოვარი ქალი, ჰაზინკაც არ იყო რომ ჩუმათ ამოიო-ხრებდა.

როდესაც კირილე ზეტროვიჩი კითხულობდა განუ-თსა ზ კარლისტები დაამარცხეს, მოსკოვისკის ვედომო-

სტების ასრით; ზე ლოდესაც არ ანებებდა კითხვას თავსა, რა არის ეგები სრისტონოსცებმა გაიმარჯვონო, წამოადგა თავს ცოლი ფენა სტეუანოვნა, რომელსაცა დაუწყო ლაპარაკი.

„რას დაუიქრებულხარ ჩემო სულიკოჯან ზე რა სშირად ოსრავ?“

— არაფერსა, ისე, ოს — ოს — ოს!

„არ გინდა წავკითხო, სრისტონოსცებს კარლისტები როგორ დაუძარცნებიათ? გიამება...“

— ნეტავი შენ საქმე არა გაქვს. თქუენ თუთანაც გირჩევ, მაგდენის ომისაგან ზე სისსლის ღვრისაგან შორს იუვნეთ. მაგისი დრო ერთსელა ექონდა, ასლა სსუა დრო გაქუს.

კირილე ზეტროვიჩი უმაღური იყო ცოლისაგან, რომ ასე გულგრილად უუურებდა ისხანიელების საქმესა, ის შევიდა თავის ოთახში ზე კრიალოსნის მარცვლებსედ ანგარიშობდა თუ რამდენი იუვნენ დასოცილნი ან ერთის ზე ან მეორის მსრითგან.

ერთს დღეს, კირილე ზეტროვიჩი, შეკეტილს ოთახში კითხულობდა გასეთებს, სადცა სსუათა შორის ჭჭოვა რომ ისხანიელებს ამოერჩიათ ასალი მსედართ მთავარი ზე ჩეულებრივ რადაც უცნაურის გვარისა. რა დახება კითხვას თავი, გაიარ გამოიარა ოთახში ზე იმ გვარს სუპირად იმეორებდა, ამ დროს კარებს მოადგა

ფენა სტეუანოვნა, რომელიცა უნახუნებდა კარებ კასა-  
ლებებით.

— გააღეთ სულიკოჯან კარები, ჩქარა!

„ჟუ დასწევკლა ღმერთმა! ერთი ეს მაკლდა...  
ესვარ...“

— ჩქარა ზ, გააღეთ!

„რა გინდა, ერთი ღმერთის გულისათვის!

„გააღეთ მეთქი!

— ვერ გაიგეთ რომ არა მცაღლიან... ესპან-  
ტონ...“

„როგორ თუ არა ცცაღლიანთ? რომ ომობდნენ  
კიდევ ჭო, თუ არა ზ, ტყვილათ ოთანში დაღისართ ზ  
ცოლქმრობის მოვალეობის წინააღმდეგი სღებით. გა-  
ღეთ ჩქარა!

— ოჰ, რა თავი მომაბესრეთ, თქვი რა გინდა?

„რაც უნდა იჯავროთ სულიკოჯან, მანც ჩემი  
ვალა გკითხოთ, მოურავს თქუწნ უბოძეთ, იმღენი ვრ-  
ბო, ვველი, ზური, არაყი ზ სსუწბი?“

— სწორეთ, სწორეთ მე, ჩემო გულის ვარღო.

„მერე რისთვის მაგღენი რამ?“

— ოხ, საჭიროა ჩემო თაიგულო! სომ იცი რომ  
დავა მაქუს ბატების გამო ტვრუნკვირითან? ის შეჩვე-  
ნებული უკანასკნელს არსაში შესებია ჩემის მამა-პაპათ  
ღირსებას ზ შააკების კვარისათვის შეურაცხება მიუყენე-

ბია, ზასუსი უნდა მივცეთ თუ არა? ამისათვის უბძანე მოუწავს გაუგზავნოს სასმელ საჭმელი რაც უთხოვნია ჩემს ვეკილს სვოსტიკ ჯუნტოვსკის. მეზე აღმითქვა, ისეთს რასმეს დაუწერ რომ, სულ ძირიანათ ამოვაგდებო.

„რასაკვირველია, სახლის უფალი თქუტუნა ხართ, მაგრამ რადგანც საღმრთო კანონით მოცემულ ვარ თქუტუნ შემწედ, ამისათვის უნდა გირჩიოთ: რა დაგეძარათ, თავი დანებეთ მაგ წვეული ბატების საქმეს, ხომ ხელავთ რამდენი გიღირთ ეგ საჩივარი. აიღეთ ზ მიეცით ის ფასი, რაცა ღირდენ ის ბატები...“

— ოჰ, აღარა მითხრათ!.. ის უფალი ტზრუნ... ტზრუნ... ტზრუნკვეჩი, ფიქრთაც ნუ გაიტარებს, რომ ან ერთი ფრთის ფასი მივცე! ის შესებია ჩემს გვარს ზ, მე ვაჩვენებ იმას თამაშას.

„როგორც თქუტუნი ნება გასლდესთ; რაც შეესება ზატოოსნებასა, მე მაგისი არა გამეკებარა. მე მსოლოდ ამისათვის გეუბნებით, რომ ტვეილი ზ უბრალო ხარჯი არის ეგ.“

რა ესა თქუა ცოლმა, მიუჯდა გვერდით ქმარს ალერსით. რასაკვირველია აქ ცოტა არ იყო გასეთი დაივიწყა ქმარმა ზ ესეც მიუსკუზდა.

„დაახ, ჩემო სულიკო, ამას გეუბნები, ტვეილი ზ უბრალო ხარჯი არის მეთქი, მეზე ახლა, რომ“



ჩუჭნი ჰაზინკა გასათხოვარი გვყავს.

— სწორეთ, მაგას მართალს ანობ. დრო არის გათხოვებისა, მაგრამ ძნელი ეს არის, საქმრო არავინ უჩნდება. ვინც მოდიან, ვეულებს უეუავებ, ვეალებსები, ჰა რას ამბობს ჰაზინკაზედ?

„ეეკ საკვირველია, მკონია კარგათ არის გაზდილი ბ! სასლონობა კარგათ ვასწავლე, სულეველაფერი იცის! მაგრამ, მკონია ჯერ ბედი არ გასსნია. მე ისეთი მდიდარი კაცის შვილი არ ვიყავ, როგორც ჩუჭნი ჰაზინკა არის, მაგრამ მრავალთ უმრავლესი საქმროები მეხუოდნენ. რისთვის? ამისათვის რომ ჰკვიანი ძამა მუვანდა. სულერთიან შეისუიდა, რაც გარეშემო სტანციის სმოტრიტლები იუენენ: ვინც გაივლიდნენ ბ გამოივლიდნენ, ვეულებს ჩემთავს უქებდნენ, მდიდარის ქალი არისო, ლამაზიო, კარგად გაზდილიო ბ, რასაკვირველია ბეენნი იქნებოდნენ. არ დაიჯერებ, ჩემი საქმროებისგან ილაჯი იყო გაწევეტილი.

— სულ ბედი არის ჩემო კარგო! მე შენზედ არავისგან არა გამიგიარა, მაგრამ ბედი რომ იყო, შემეუვარდი ბ შევირთე.

რა მოიგონეს ძველი თავიანთი ანბავი, ბებრები გადაეხვიენენ ბ დაუწეეს ერთმანერთს კოცნა.

მართლად ბ ამ ლაპარაკის შემდეგ, ბედი გაეხსნა ჰაზინკასა. კირილე ჰეტროვიჩის მამულების ახლოს,

სოფლად ერთი ბატალიონი მოვიდა ლაკიზად, ამ ჩუ-  
 ცნის შუაკის სოფელში დადგა. ამ ბატალიონში სამსა-  
 ხურში მეოფი, როტნი კამანდირი, კაპიტანი ერთი,  
 ივანე სავიჩი, გვარად სკვარცოვი. ის იყო ახალგაზდა,  
 კარგის ტანისა, ცქვიტი, გონიერი, განათლებული,  
 როგორც კადეტის კორპუსში კურს შესრულებული, მა-  
 გრამ ღარიბი. იმას არაფრის შემოსავალი არა ჰქონდა,  
 ჯამაკირის მეტი, მხოლოდ ჰუვანდა ერთი ბიძა ღენერა-  
 ლი, ერთს გუბერნიის ქალაქში, სადაცა ჰქონდა ერთი  
 ჰატარა სახლი, რომელიცა დაწიებოდა ივანე სავიჩს  
 მამინ, როცა ეს ბიძა მოუკვდებოდა.

აქედანა სჩანს, რომ ივანე სავიჩისათვის საჭირო  
 იყო, კარგი მზითვიანი ქალი. რომ შეიტყო, ამისი  
 ჰკუის ქალი იმეოფებოდა იმ სოფლად, აბა რასაკვირ-  
 ველია, საქმეს მალე შეუდგებოდა. იმან რასაკვირველია  
 ნახა ზე გაიცნო კირილე ჰეტროვიჩი; აიღო იმისი სა-  
 სიეთები, მოისმინა იმისგან, თუ როგორ უწყალოდ  
 სოცდნენ, სრისტონოსცები კარლისტებს, ღენერლების  
 გვარებიც მოისმინა ზე ბოლოს ისიც შეიტყო აუ რო-  
 დის უნდა დამჯდარყო ტახტზედ ისაბელლა. ისიც  
 უველაფურში ეთანხმებოდა, ამ სახით შეუვიდა ზე დაუ-  
 მეგობრდა კირილე ჰეტროვიჩსა. ფენა სტეფანოვნას  
 ხომ სულ უქებდა, მურაბეებს, ზე ესვეწებოდა, მასწავლე  
 როგორ აკეთებ, რომ ჩემს ბიძის ცოლს ღენერალშას

მივწერო, იმანაც ისწავლოს ზე ასე კარგად გააკეთოს.

— განა ბიძა თქუენნი ღენერალია? ჰკითხა კირი-  
ლე ჰეტროვიჩმა.

„დიას!

კირილე ჰეტროვიჩმა რომ შეიტყო ბიძა ღენერალი  
ჰქვანდა, ამის შემდგომს ის თავის დღეში ჰირველად  
არ დაჯდებოდა სკამზედ, მინამ ივანე სავიჩს არ დასო-  
მდა.

ივანე სავიჩი ჰაზინკას სრულებით უურადლებას არ  
ამღუვდა, რასაკვირველია განკებ. როდესაც ჰირველად  
შემოვიდა ჰაზინკა, ივანე სავიჩი სკამიდან არცეი შემ-  
რულა. კირილე ჰეტროვიჩმა უთხრა: ეს ჩუენნი ქალი  
არისო. მაშინ მხოლოდ, ცოტათი წამოიწია სკამიდან  
ღ ნელა თავი დაუსწრა.

ისე დაუასლოვდა ივანე სავიჩი კირილე ჰეტროვი-  
ჩს, რომ გვერდით მოუჯდებოდა ზე გასეთებს რიგიანად  
უკერავდა; იმის ცოლს სომ ისე დაუმეკობრდა, რომ  
ან მურაბას აკეთებდა, ან არაჟს აზავებდა, ესეც იმასა  
შეელოდა. საუკუნაოში თავისუფლად შევიდოდა ზე იმათ  
მაშულების საქმეშიაც კი ლაზარაკის დროს ერეოდა.  
ერთის სიტყვით, ჰზაკის სახლში ისე გახდა ივანე სა-  
ვიჩი როგორც შინაური. უიმისოთ არაფრის გაკეთება  
არ შეეძლოთ ზე რასაც დღეს ის იქ არ მივიდოდა,  
ის დღე დღეთ არ მიანდათ. იმასთან ტანთ როგორც

უნდა სცმოდათ სულ ერთი იყო.

ზაზინკა სომ უველასედ უფრო შეეჩვია, ივანე სავიჩი როდესაც ეტეოდა ჰელაგია კირილოვნაო ღე თქუ-  
 ცნობით მოიხსენებდა, დედა იმისი ზუნა სტეფანოვნა  
 იწეენდა ღე ეტეოდა ივანე სავიჩის, ჰელაგია კირილოვნას  
 კი ნუ ეძასი, ზაზინკა დაუძასეო, შენ სომ შინაური  
 ხარო, ნურც თქუცნობით მოიხსენიებ, შენობით ელა-  
 ზარაკეო.— ამისთანა ბაძეს, რა აგრეთი ლაზარაკი უნ-  
 დაო, შენთან ეს ემაწვილი არის, მერე კაპიტანიც ხა-  
 რო. ერთის სიტყვით, დაუძასე ზაზინკაო.

ივანე სავიჩი, რასაკვირველია არ ეწინააღმდეგებო-  
 და ღე ლაზარაკში ეტეოდა ზაზინკაო, როდესაც მშობ-  
 ლებთან იყო, ღე თუ მარტო ჩაიგდებდა, ეტეოდა: სა-  
 უვარელო ზაზინკავ!

როდესაც ივანე სავიჩი ძრეელ დაუასლოვდა ზაზინ-  
 კასა ღე ეტეოდა ხოლმე, საუვარელო ზაზინკაო, ერთ-  
 ხელ სსუათა შორის ჭკითსა:

„წიგნების კითხვა გიუვართ საუვარელო ზაზინკა?“

— ოჰ, როგორ არა? ძაღინ!

„რომელი წიგნი უფრო გიუვარს?“

— ზაზინკის შეთსულები, სამოციქულო, დავი-  
 თნი . . .

ივანე სავიჩის ეს ზასუსი არ გაჭკვირებია, რადგანც  
 იცოდა იმისი სოფლიური ღე უმანკო გულის თხსება

ღ ესეც იცოდა, რომ ამისთანა უმანკო გულს უფრო მიიზიდავდა. როდესაც მოუევა ის ასალი წიგნების სასელებს, მაშინ ჰაზინკამ უთხრა:

„ახ! თქვენნი ჭირიმეთ მათხოვეთ, უფრო იმის-თანა წიგნი კი იეოს, რომ გულის შემატკივარი, მე მაგისთანა წიგნები მიუყარს. მაგრამ ისე კი მამიტანე, რომ დედაჩემა არ გაიგოს.“

რასაკვირველია ივანე სავინს ამ გვარი თხოვნა დიდად იამებოდა ღ წიგნებს ლამაზად დაკაზმულებს ისე აძლეოდა საკითხავად ჰაზინკასა, რომ იმის დედას ფენა სტეფანოვნას სრულებით არ ესმოდა. რომელიც ჰირ-ველი რუსეთის მწერლების თხზულებები იყო, ჩუწნმა ჰაზინკამ კიდევ გადაიკითხა სულ ერთიანად, ამას გარ-და ბევრი კარგი ლექსებიც გაიხეპირა, სააშიკო, სატი-რალი, თუ გულის დამაღრუბლებელი.

ეს ეველა კარგი, მაგრამ ჰაზინკა კიდევ ვერ მისვე-დრილიყო, თუ რას ნიშნავდა ეს, რომ როდესაც ივა-ნე სავინი წიგნებს მისცემდა ჰაზინკასა, არ შეიძლებოდა ხელში არ მოეჭირა, ამას გარდა, როგორღაც სხუა მკსნებარე თვალებით უუჩებდა, ისე რომ ჰაზინკას ტანში ჟრუნტელს დაასხავდა. ბოლოს ესეც გაბედა ივანე სავინმა, როდესაც ჰაზინკა წიგნებს დაუბრუნებდა, ივანე სავინი სთხოვდა გაეღიმა სოღმე იმისათჳს. ისიც, რასაც ეუბნებოდა უღსრულებდა, მაგრამ კიდევ არ ესმო-

და ამაების მნიშვნელობა. ბოლოს მოაკონდა, ერთი რომანის წაკითხული ფურცელი, სადაცა ქსენი გამოხატული იყო ცხადად... ოჰ, აქ ჩუქნი ჰაზინკა შეფიქრიანდა, იფიქრა, იფიქრა, ლოყები სირცხვილისაგან გაუწითლდა, თვალები აერია, თითქოს დაუბნელდაო, — ეს იყო ღამე, ქვეშაგებში რომ იწვა, — იფიქრა, ამ ფიქრში ვნახოთ მსემ თავიც ამოყო, თუმცა სტოლზედ სამთელი გაუქრობელი კიდევ ბუუტავდა.

მეორეს დღეს ჰაზინკა ისე აღარ შესვდა ივანე სავინის ჩვეულებრივ, რომ შემოესმა იმისი ფეხის ხმა, გაწითლდა ზე მასინათვე შევარდა თავის ოთახში, საცა თითქოს ციება შეუდგაო, თრთოდა მრთელის ტანით; ბოლოს რომ მეტი გზა არ იყო ზე იმასთან უნდა ეოფილიყო ერთად, შეშლილივით ღაზარაკობდა, დედის ნათქვამი არ ესმოდა ზე თუ უზახსუხებდა რასმეს, სულ წინააღმდეგს. ივანე სავინი კი, თითქოს არაფერიო, თითქოს აქ არა მომსდარაო. ის თავისებურად, რასაც ფენა სტეფანოვანა ეტეოდა, უჯერებდა ზე როგორც კარგი მსახური ისე ემსახურებოდა. ჰაზინკა ამ დროს ფიქრობდა, მადლობა დმერთსა დედა-ჩემთან მანც არ მიუურებსო.

როდესაც მორჩა ჰაზინკა ზე დედის მინდობილებით, მოსამსახურეებს ბძანება მისცა ვასძამს შემდეგ, თუ ხვალ რა გაეკეთებინათ, შევიდა თავის საწოლს ოთახში ზე

მიჭეო სელი რომანის კითხვას. მოუთმენელობამ, თუ რით გათავდებოდა ბოლო, გულის ცემამ, წინათ გრძნობამ ისე იმოქმედეს ჰასინკასზედ, რომ უნებლიეთ ორივე ლოყები გაუწითლდნენ, ბოლოს კი ტანთ რომ იხდიდა დასამინებლად ზე გოგო ღუნიაშა სდიდა, ეს იმისი სხსის აღრეულება შენიშნა ზე უცვებ წამოიძასა:

„ას ჰატარა ქალბატონო, რა ლამაზი ხარ! ნეტავი ასლა ივანე სავიჩმა დაგინახოს საიდანმე!

— მეზე რა რომ დამინახოს? უზასუსა ჰასინკამა, რა გაესვია საჩქაროთ საბანში, თითქოს ძარტლა ივანე სავიჩი უეურებსო.

„იცი რა ქალბატონო, მრთელი სასლის მოსამსახურები ამასა ვფიქრობთ, რომ როგორმე იმან შენ შეგირთოს, თუ რომ შეირთავდი, რა ერთმანერთის შესაფერნი იქნებოდით, თქუწნ ლამაზი ბძანდებით, ზე ის მშვენიერი უმაწვილი კაცია. ასლა რომ იმან თქუწნა განახოთ, სვალვე ჯვარს დაიწერდა თქუწნსზედ.

— ღმერთმა იცის, რაებსა ბოლამ. კარგი გამეცალე თუ ღმერთი გწამს, მეძინება. ესა სთქვა ზე მოჭევა მშვენიერის თვალების სუჭვასა.

არა ჩემო ჰელაგია კირილოვნავ, ჩემო კარგო ჰასინკავ, უფრო შინაური სასელი გიწოდოთ, შენ ძილი არ მოგდის. ემენდა, ადექი წუნარა ქვეშაგებითგან, წითელი ლენტით შკაფის გასაღები ეელსზედ მობძული

რომ გაქვს, მიიტანე, გააღე შკაფი, გამოიღე ლამაზად დაკაზმული წითელის სავერდით ზვარჯით მორთული რომანი, ჩუწნებურადა ვსთქვათ, სააშოეო წიგნი ზე უდექით კითხვასა, მაგრამ როგორღაც წაკითხული არ გესმის. შენ ეურებში სულ შენი გოგოს ნათქვამი სიტყვები ისმის . . . აი, თაჲი დანებე კითხვასა, მშვენიერს, ნათელს ზე სვეტაკს გულსედ ჯვარი გადაისასე ბროლის მარჯვენას ხელით; დაფიქრდი . . . მაგრამ რახედა ფიქრობ, ზელავია კირილოვნა, ჭა? . . . ეგენი რომ დედა შენმა ფენა სტეფანოვნამ შეგიტეოს, მერე? უჰ! ამან გული გავიხეთქა, შეგაწუსა ზე წამოვარდი ისევე . . . ოჰ, დმერთო ჩემო! მზე ამოვიდა! . . . ვაი შენს ბიჭს, აკი ამ ლამემაც ისე უბრალოთ არ გაიარა. აი ამ დღით ავრე დათენთილი რათა ხარ!

დღე დღესედ მიდიოდა, სძირათ შემთხვევა ეძლეოდათ ამ ორთა მოაშოეთა ზე არაეს ერთი ჭურჭლითგან მეორეში რომ ასხავდა ზანინკა, ივანე საფიჩიცა შველოდა, თითქოს იმათში არაფერი ანბავიაო. ივანე საფიჩი მანც წიგნს რომ უკან დაიბრუნებდა იმასა სთხოვდა, კიდევ, გაედიმა, — ბოლოს ზანინკამ გაბედა ზე ჭკითხა, თუ რათ უნდოდა იმას ეს დიმილი?

„ჩემის ბედნიერებისათჳს. მიუგო ივანე საფიჩმა, ზე გატრიალდა საჩქაროთ.

ერთს დღეს ივანე საფიჩი წიგნს რომ ამღევდა ზა-



ზინკასა, არაფრისთანა არა უთქვამსრა, უცვებ მივარდა  
 ჭ სელებზედ კი აკოცა . . . რაღაც შავმა ღრუბელმა დაჭ-  
 ფარა ჰაზინკას თავი. . . . ის დაბარბაცდა, კინაღამ წა-  
 იქცა. შავმა ღრუბელმა გადაიარა, ის გაქრა, ისე იგი  
 ივანე სავიჩი, — ჰაზინკა როგორც სე, ისე უძრავად იდ-  
 გა გაშტერებული ერთს ალაგს, ის ხელი, რომელსედაც  
 აკოცა, ეწოდა, თითქოს ნაკუერჩხალი დაადესო, იმას  
 ეშინოდა, ის ხელი დედას არ დაენახა ჭ იმაღავდა.  
 არა, რას შეიტუობდა ფენა სტეფანოვნა, რომ იმის ქა-  
 ლისთუს ხელზედ ეკოცნათ, ის ძრთელი დღე მოუსვენ-  
 რად გაატარა.

ამის შემდგომს ჰაზინკამ რომ კიდევ წიგნი დაუ-  
 ბრუნა წაკითხული, ივანე სავიჩმა კიდევ აკოცა, მოუ-  
 ტანდა სხუა ახალს წიგნს, კიდევ ხელზედ აკოცებდა, —  
 ახლა თითქოს არაფერიო ჰაზინკას ეგონა, თითქოს  
 ასე უნდაო; თითქოს ეველგან მიღებული ასე არისო.  
 ახლა აღარ ეშინოდა, შეეჩვია.

ერთხელ, მითომ ჭ, დაავიწუდა ივანე სავიჩს, შეე-  
 შალა ჭ ნაცვლად ხელისა, აკი ლამაზ ბროწეულივით  
 წითელს ლოყაზედ არ აკოცა . . ახა ვაითასა! — აკოცა,  
 აკოცა, ახლა ჰაწაწა ტუჩებში ჭ თითონ კი გაქრა მა-  
 შინვე ელვასავით.

(ზოგი მერე იქნება).

## სსუა და სსუა ამბავი

---

— სოლერის დროს დიდი ხანია რაცა სმარობენ ქინაქინასა. ზირველად სოლერაში ქინაქინის სმარება შემოიღო დოქტორმა ბონკინმა, რომელიცა გვირჩევს ვისმართო ქინაქინა, თუნდა გვჭირდეს სოლერა ჭ თუნდა არა, ვინცა სმარობს ქინაქინას სოლერის დროს, იმას სოლერა აღარას დროს აღარ შეეერება. თუკი ეს ვიცით რომ ქინაქინის მარული, აქრობს სოლერის სწამლავსა, რატომ სოლერის წამლობას კი არ უნდა მოუხდებოდეს. მინამ ჰროფსორი ბიტკინი აღმოაჩინდა ქინაქინის მიცემას სოლერის დროს, სსუა ექიმებიც უჩვეუდნენ ქინაქინის სმარებასა. ერთი დოქტორი, გვარად ჰრუსაკი, გვარწმუნებს, რომ რამდენიმე ავთ-მეოფი სოლერიანი მოაჩინა ქინაქინით წამლობითა. გამოჩენილი დოქტორი ინოხმცოფი ანობს რომ, ციება ჭ სოლერა და-შმანი არიანო, ჭ ამისათვის სოლერასაც ისე უხდება ქინაქინა, როგორც ციებასაო. რომ აღარ მიუდგეს მრთელს კაცს სოლერა ჭ აღარ შეეეა-

როს, უნდა სმარობდეს ქინასა, — უფრო უკეთესი იქნება თუ არაუში ან სწორტში ურევიო ქინა ღ ისე სვამს, რასაკვირველია რწვეით ღ ზომიერად. ერთი დოქტორი ანობს, სოლერის დროს, ვისაცკი ქინაქინა ვაძლიე, არც ერთი აუთ არ გამსდარაო. ქინაქინის კაპლსაც აძლევენ სოლერის დროსა. უკეთესი ღონის-ძიება არა არისრა, როგორც ქინა, რომ სოლერა აიცილოს კაცმა ღ არ შეეყაროს.

ვეელამ ვიცით რომ როდესაც სოლერა იწეობს კაცსკდ მოქმედებასა, დაუწეებს მუცელს გრიალსა, ვვანასა ღ ღებინებას მოჭეუება; ქინაქინას ის თვისება აქუს რომ სნეულებას შეაყენებს ღ არ უშეებს რომ კაძლიერდეს. როდესაც 1870 წელს ოზურგეთში იყო სოლერა, მაშინათვე წამალი არა მივაკარერა სოლერიანს, ქინაქინის მეტი, ამითი ვველას ვარწენდი ღ ვისაც არა სჭირდა, არ ეერებოდა. კიდევაც თუ შემემთხვა სოლერის წამლობა, მაშინათვე დაუწეებ ქინაქინის მიცემასა. მინამ ამ ქინაქინასკდ სსჟანი იტეოდნენ რასმეს, მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ქინაქინა ძრეელ იმოქმედებდა სოლერასკდ. სოლერის დროს საჭირო არის ეს სიბრთსილე მიიღოს კაცმა: უნდა ყოველივე უწმინდურობა მოიხოს თავის სადგომში ღ წმინდად შეინახოს იქაურობა. 2, უნდა ერიდებოდეს იმ საჭმელს, რომელიცა ვვანას დამართებს კაცსა; 3, არ უნდა შეიცვიოს;

4, რამწავს შენიშნოს ხოლერის დროს, რომ ტანში როგორღაც მოიძალა, მუცელი უგრიალებს, ან დასუსტდა, მაშინვე მიიტანოს ხინა ზ დღეში სამჯერ სუთსუთი გრანი მიიღოს; ზ თუ ემაწვილი არის, სამჯერ დღეში სამ სამი გრანი ასვას. თუ რომ ხოლერა ძრეელ მოერია, მაშინ ხინის კახლი უნდა იხმაროს, იმას გარდა რაც ჭექიმებისგან დარიცება არის ხოლერაზედ გამოცემული, გასუთებში თუ ჟურნალებში.

ეს ანბავი ამისათვის შევატეობინეთ მკითხველს, რომ ვინიცობა არის კიდევ ჩუჭნს ქვეყანაში ხოლერა გაჩნდეს, მაშინვე ქინაქინის ხმარებას შეუდგენ, ეს ზირეელი ღონის-ძიება არის ამ სნეულების დროსა.

— ერთს საფრანკეთის ჰატარა ქალაქში, აძლეუდნენ თიატრში ერთს კომედიასა. ერთმა ემაწვილმა კაცმა წარმოდგენის დროს დაუსტვინა. ამ დროს დეჟურნი აფიცარი წამოდგა ზ დაიძახა: ვინ კაბედა დასტვენაო?

— ეს დასტვენა სყიდვით არის, როდესაც თიატრში შემოვდივართ, სთქუა ლექსი შუალოსგან ნათქვამი.

— ეკ ვინა სთქუა? დაიუვირა ზოლიციის ჩინოვნიკმა.

— შუალომ, მიუგო კალლერეიათგან, ხმამ.

— შუალომა თქუა ზ, მამ კავიდეს ახლავე შუალო თიატრიდან.

— აი რასასწერენ ერთს ფრანცუზულს გაზეთში: ერთხელ ფრანციის კაროლის კარლის დროს, ელჩი იყო გაგზავნილი ოსმალეთის სულთანთან სოლიმანთანა. როდესაც აუდიენციაში შევიდა, ამ ელჩმა შენიშნა, რომ იმისათვის არ იყო მომზადებული ალაგი, რომელზედაც დამჯდარიყო, იმან იფიქრა, რომ ეს განკებ ექმნათ ოსმალეთის მთავრობასა, რა არის ფესზედ იდგესო. მაშინათჳე, ეს რომ ნასა, გადაიმჩო ზემოთი საცემელი ტანიოვან, გაძალა ჰოლზედ ზ მოიკეცა ზედ, თითქოს ძველად ამისი ქვეენის ჩვეულება არისო. როდესაც სულთანი გამოვიდა ზალაში, ეს იჯდა ზ ისე მოისმინა ამისაგან დიდის განკვირვებით ზ გაცრებით ის დაბარება, რაც შემოეთვალა საფრანკეთის კაროლსა. როდესაც აუდიენცია გათავდა, ეს ელჩი გამოვიდა ზ ის ტანისამოსი, რომელზედაც ზედ იჯდა ისევე ისე გამლილი შუა ზალაში დაუარა. იქ მეოფთ ასე ეკონათ დაავიწუდაო, დაედევნენ კარებთან ზ უთხრეს ელჩს ტანისამოსი მკონია დაგავიწუდათო. ამან მიუგო: „ჩემი კაროლის ელჩებს ჩვეულებათ არა აქვსთ, ის მებილი, რომელზედაცა ისხდნენ კელმწიფის სასახლეში, თან გამოიტანონო“.

— ნიუეგოროდის იარმუკითვან, ერთს სომეხს ტფილისითვან სახელად ვილაცა იაკორ სოლომონიჩს, საქონელი უუიღნია სამოც ზ ათის თუმნისა, ფული არ

მიუცია, გამოუსტუმრებია ჩუმათ & თითონაც ჩუმათ დაკარგულა. არ იცინან საით.

— ზეტრო-ზავოდსკის უესდში ერთს სოფელში, ერთი კაცი ისე გასრდილა, & შექმნილა ოც & ცამეტის წლისა, რომ სულ ქალღმერთა სცმია & ეველას ქალი ჰგონებია. საექიმოს უზრავაში შეუძოწმებიათ & აღმოჩენილა, რომ ეს კაცი ეოფილა & არა ქალი. რა ეოფილა ამისი განსრავა ამ წოდების მეღებით, ეს ჯერ არავინ იცის; უსრთოთ არ იქნებოდა ეს იმისი მოქმედება.

— როსტოვიდგან ვლადიკავკასიადინ აზირებენ რკინის გზის გაკეთებას, ეს რომ დროთი მოხდეს, ჩუწნს საქართველოს დიდს სიკეთეს მისცემს, რადგანაც თქმულება არის & მკონია საქმეც გათავებულია, ტფილისითგან ვლადიკავკასიადინ უნდა გაკეთდეს აგრეთვე რკინის გზა.

---